საქართველოს მთავრობის

დადგენილება №497

2022 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/09/2018, 010240030.10.003.020789) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მიზნებისთვის, სამინისტროს მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირები.“.

2. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სტრატეგიული განვითარებისა და ანალიტიკის დეპარტამენტი;“.

3. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი.“.

4. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და 4 მოადგილე. მინისტრის მოადგილეების უფლებამოსილებები და ფუნქციები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, თუ კანონითა და საქართველოს მთავრობის აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს, მინისტრის გადაწყვეტილებით, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია, დაეკისროს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის ან სამინისტროს მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულება.“.

5. 8^1 მუხლის:

ა) „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და მექანიზმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და, კომპეტენციის ფარგლებში, მისი მონიტორინგი და შეფასება;“;

ბ) „ა.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ზ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში სამინისტროს მიერ დასადები საერთაშორისო ხელშეკრულებების, დონორ ორგანიზაციებთან/საერთაშორისო პარტნიორებთან დასადები ხელშეკრულებების (შეთანხმებების, მემორანდუმების) მომზადებაში მონაწილეობის მიღება,

საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროების განსაზღვრა;";

გ) „ბ.ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და მექანიზმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და, კომპეტენციის ფარგლებში, მისი მონიტორინგი და შეფასება;";

დ) „ბ.ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ვ) სოციალური დაცვის სფეროში სამინისტროს მიერ დასადები საერთაშორისო ხელშეკრულებების, დონორ ორგანიზაციებთან/საერთაშორისო პარტნიორებთან დასადები ხელშეკრულებების (შეთანხმებების, მემორანდუმების) მომზადებაში მონაწილეობის მიღება, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროების განსაზღვრა;";

ე) „გ.ა.ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.ა.ბ^1" ქვეპუნქტი:

„გ.ა.ბ^1) შრომისა და დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და მექანიზმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და, კომპეტენციის ფარგლებში, მისი მონიტორინგი და შეფასება;";

ვ) „გ.ა.ფ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ა.ფ) შრომისა და დასაქმების სფეროში სამინისტროს მიერ დასადები საერთაშორისო ხელშეკრულებების, დონორ ორგანიზაციებთან/საერთაშორისო პარტნიორებთან დასადები ხელშეკრულებების (შეთანხმებების, მემორანდუმების) მომზადებაში მონაწილეობის მიღება, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროების განსაზღვრა;";

ზ) „გ.ბ.ა" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.ბ.ა^1" ქვეპუნქტი:

„გ.ბ.ა^1) შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და მექანიზმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და კომპეტენციის ფარგლებში მისი მონიტორინგი და შეფასება;";

თ) „გ.ბ.ბ" ქვეპუნტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.ბ.ბ^1" ქვეპუნქტი:

„გ.ბ.ბ^1) შრომითი მიგრაციის სფეროში სამინისტროს მიერ დასადები საერთაშორისო ხელშეკრულებების, დონორ ორგანიზაციებთან/საერთაშორისო პარტნიორებთან დასადები ხელშეკრულებების (შეთანხმებების, მემორანდუმების) მომზადებაში მონაწილეობის მიღება, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროების განსაზღვრა;";

ი) „დ.ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ა) დევნილთა და ეკომიგრანტთა, აგრეთვე ინტეგრაციის/რეინტეგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და მექანიზმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და, კომპეტენციის ფარგლებში, მისი მონიტორინგი და შეფასება;";

კ) „დ.ზ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ.ზ^1" ქვეპუნქტი:

„დ.ზ^1) დევნილთა და ეკომიგრანტთა, აგრეთვე ინტეგრაციის/რეინტეგრაციის სფეროში სამინისტროს მიერ დასადები საერთაშორისო ხელშეკრულებების, დონორ ორგანიზაციებთან/საერთაშორისო პარტნიორებთან დასადები ხელშეკრულებების (შეთანხმებების, მემორანდუმების) მომზადებაში

მონაწილეობის მიღება, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროების განსაზღვრა;“.

6. 8^2 მუხლის „ნ“, „ო“, „პ“, „ჟ“, „ყ“, „შ“, „ჩ“, „ც“, „ძ“, „წ“, „ჭ“ და „ხ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

7. 8^3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8^3. სტრატეგიული განვითარებისა და ანალიტიკის დეპარტამენტი

სტრატეგიული განვითარებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და კომპეტენციაა:

ა) ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია; სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, ასოციირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხორციელების ყოველწლიური ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერიოდული (6-თვიანი და წლიური) ანგარიშების მომზადების კოორდინაცია და შესაბამისი კომპეტენტური უწყებისთვის წარდგენა;

ბ) საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ების ურთიერთობის კოორდინაცია;

გ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ების მიერ საერთაშორისო მიმართულებით კავშირების დამყარების ხელშეწყობა და საქმიანობის განხორციელების პროცესის კოორდინაცია/მეთოდური ხელმძღვანელობა;

დ) სამინისტროს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა (მ. შ., სასესხო, საგრანტო) და დონორ ორგანიზაციებთან/საერთაშორისო პარტნიორებთან დასადები ხელშეკრულებების (შეთანხმებების, მემორანდუმების) მომზადება, გაფორმების პროცესის კოორდინაცია, ხელშეკრულებების აღრიცხვა და რეესტრის წარმოება;

ე) სამინისტროს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების (სასესხო, საგრანტო შეთანხმებების, მემორანდუმების) შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი;

ვ) სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებასთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, საერთაშორისო, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან სამინისტროს კომუნიკაციის კოორდინაცია;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან თანამშრომლობა;

თ) სამინისტროს სისტემაში ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება, რაც მოიცავს (და არ შემოიფარგლება) ეკონომიკური და ფინანსური, სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროებში შესაბამისი კვლევებისა და ანალიზის უზრუნველყოფას, რესურსებისა და პროცესების ეფექტიანობის ანალიზს;

ი) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციისა და მონაცემთა მოპოვება/დამუშავება/განზოგადება და სისტემატიზაციის უზრუნველყოფა;

კ) სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევებისა და რისკების შესწავლა, ანალიზი, განზოგადება და სათანადო დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ლ) რეფორმების განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი;

მ) სამინისტროს საქმიანობის სფეროებში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის კოორდინაცია;

ნ) სამინისტროს საქმიანობის სფეროების განვითარების მხარდამჭერი ინიციატივების, სიახლეებისა და რეფორმების კოორდინაცია და განხორციელების ხელშეწყობა;

ო) არსებული გამოწვევების საპასუხო ალტერნატივების შემუშავება და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა;

პ) სამინისტროს სისტემის განვითარების მიზნით, სამოქმედო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ჟ) შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტების/გეგმების შემუშავება, დამტკიცების კოორდინაცია, შესრულების მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი.“.

8. 8^4 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^5 მუხლი:

„8^5. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და კომპეტენციაა:

ა) საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა, მათ შორის, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, სამინისტროს გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამების, პროექტების, გეგმების, რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირების უზრუნველყოფა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება/თანამშრომლობა;

გ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ ოფიციალური კომენტარისა და ინტერვიუს მიცემის კოორდინაცია;

დ) საკომუნიკაციო კამპანიებისა და პროექტების დაგეგმვა, მართვა და განხორციელების უზრუნველყოფა;

ე) სამინისტროს საქმიანობისა და მიღწევების შესახებ საინფორმაციო ბიულეტენების/ანგარიშების შექმნა, დაბეჭდვა და გავრცელების უზრუნველყოფა;

ვ) პრესის მიმოხილვა, სამინისტროს შესახებ ინტერნეტგამოცემების, ბეჭდური მედიისა და სატელევიზიო სიუჟეტების მონიტორინგის საფუძველზე ყოველდღიური ანგარიშის მომზადება;

ზ) სამინისტროს საკომუნიკაციო არხების – ვებგვერდისა და სოციალური მედიის მართვა;

თ) სამინისტროს საზოგადოებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა, მათ შორის, მედიის წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო/საკომუნიკაციო მასალების მომზადება და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება;

ი) საზოგადოებისათვის სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (მიმდინარე რეფორმები, ოფიციალური შეხვედრები, ვიზიტები, სამინისტროს სხვა პრიორიტეტული მიმართულებები) და მედიის მხრიდან საინფორმაციო მხარდაჭერა;

კ) მასმედიის წარმომადგენლებთან თემატური შეხვედრების, პრესკონფერენციების, ბრიფინგების და მედიატურების მოწყობა.“.

მუხლი 2

დადგენილება, გარდა დადგენილების პირველი მუხლის მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების პირველი მუხლის მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები ამოქმედდეს 2022 წლის 1 ნოემბრიდან.